ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#1

23 თებერვალი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გვანცა გრძელიძე
გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
გია სახამბერიძე
მაია კბილაშვილი
ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი, თამთა ჯიხვაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკი

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“.

მომხს. ანტონ ქარაბაკი

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ“ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა

კომისიის წევრი: მაია კბილაშვილმა კითხვით მიმართა ანტონ ქარაბაკს ბაღებთან დაკავშირებით კვების პროდუქტების შესყიდვები მარტის თვეში განხორციელდება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა უპასუხა მაია კბილაშვილს, რომ შესყიდვებს ანხორციელებენ თვითონ ბაღები ტენდერი შემდგარია და არ იქნება შეფერხება ამ მიმართულებით

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე რგფ პროექტებთან დაკავშირებით რა ხდება როგორ მიმდინარეობს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ რგფ პროექტებთან დაკავშირებით ყველა პროექტები დასრულებულია გარდა გარდამავალი პროექტებისა

კომისიის თ/მოადგილე: გურამი ჩხეიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ის ავტომობილები რომელთა შენახვა და ტექნიკური გამართვის მომსახურების ხარჯი წლის განმავლობაში ძალიან მაღალია სჯობს გაიყიდოს ეს მანქანები და გამოვიყენოთ სხვა შესაძლებლობები ამ შემთხევავში ნაკლები დანახარჯი იქნება

კომისიის თ/მოადგილე: გურამი ჩხეიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ჩვენ ვახდენთ დაზარალებულ მოსახლეზე სხვადასხვა სახის მასალების გაცემას სახურავი იქნება თუ შესაბამისი სამშენებლო მასალები, გასაგებია გაჭირვებულს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ თავს იჩენს შემდეგ პრობლემები ვთქვათ გაცემული გვაქვს სახურავი ვერ დახურა უსახსრობის გამო სახურავი დაწყობილია და ზაინდება რა ხდება ამ დროს უნდა მოხდეს ჩამოწრე თუ მასალის დაბრუნება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი: ანტონ ქარაბაკმა უპასუხა გურამი ჩხეიძეს ამ შემთხვევაში პრობლემურ საკითხზე ერთვება სოფლის წარმომადგენელი და შესაბამისი კომისია რომელიც ღებულოს გადაწყვეტილებას ეს უშალოდ ჩემს სამსახურს არ ეხება

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ". შეფასდეს წარმოდგენილი ანგარიში კომისიის მიერ დადებითად და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში: „მუნიციპალიტეტის 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესრულების შესახებ". შეფასდა წარმოდგენილი ანგარიში დადებითად კომისიის მიერ და გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:7

წინააღმდეგი:0

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე